საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 4198/01
30/05/2023

4198-01-2-202305301602

მოქალაქე თეკლა ადამიას

(ელ.ფოსტა: foi+request-2670-81c06cd2@askgov.ge)

ქალბატონო თეკლა,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში, მიმდინარე წლის 16 მაისს შემოსული #17819 განცხადების პასუხად გიგზავნით თქვენს მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას:

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

სამინისტროს ცენტრალური აპარატის არცერთ გათავისუფლებულ თანამშრომელთან დაკავშირებით, სასამართლო დავა არ ყოფილა.

ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო

სამსახურიდან გათავისუფლებულ თანამშრომლებთან სააგენტოს ჰქონდა სამი სასამართლო დავა:

- 2013 წლის დავა, რომლის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებითაც მოსარჩელის სასარგებლოდ სააგენტოს დაეკისრა იძულებითი განაცდურის გადახდა 2013 წლის 6 თებერვლიდან ტოლფას თანამდებობაზე აღდგენამდე პერიოდისთვის (2014 წლის 13 აგვისტო) ყოველთვიურად 2700 ლარის ოდენობით და 250 ლარი ბაჟის ანაზღაურება.

- 2018 წლის დავა, რომლის ფარგლებშიც შედგა მორიგება სააგენტოს მიერ მოსარჩელისთვის 19 000 ლარის ოდენობით კომპენსაციის გადახდის და 50 ლარის ოდენობით მოსარჩელის მიერ გაღებული საპროცესო ხარჯის გადახდის შესახებ.

- 2022 წლის დავა, რომლის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებითაც არ დაკმაყოფილდა სარჩელი სააგენტოს მიმართ, რომლითაც მოსარჩელე ითხოვდა მისი განთავისუფლების ბრძანების

ბათილად ცნობას, სამსახურში აღდგენასა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურებას 1980 ლარის ოდენობით 2022 წლის 9 თებერვლიდან სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებამდე.

სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო

სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს წინააღმდეგ 2018 წელს, სასამართლოში შეტანილ იქნა **ერთი სარჩელი**, რომლითაც მოსარჩელემ გაასაჩივრა დაკავებული პოზიციიდან გათავისუფლება, სააგენტოსგან მოითხოვა თანამდებობაზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება. აღნიშნული დავა ამჟამად არის ქ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განხილვის სტადიაში.

სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრი

სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრსა და სამსახურიდან გათავისუფლებულ თანამშრომელს შორის სასამართლო დავა 2019–2021წლებში მიმდინარეობდა და დავა განთავისუფლებული თანამშრომელის სასარჩელო მოთხოვნის ნაწილობრივ დაკმაყოფილებით დასრულდა.

სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა კომპენსაციის ანაზღაურება 15 000 ლარის (ხელზე მისაღები) ოდენობით.

სამსახურში აღდგენასა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე სასრჩელო მოთხოვნა სასამართლოს მიერ არ იქნა დაკმაყოფილებული.

სსიპ - ,,ველური ბუნების ეროვნული სააგენტოს“ წინააღმდეგ სასამართლო დავა არ ჰქონია

სსიპ ,,ველური ბუნების ეროვნული სააგენტოს“ წინააღმდეგ სასამართლო დავა არ ჰქონია თანამშრომლის გათავისუფლებასთან დაკავშირებით.

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

2020 წელს, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიმართ მიმდინარეობდა **ერთი შრომის სამართლებრივი დავა**, რომელიც დასრულდა 2022 წელს. აღნიშნული დავის ფარგლებში სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ.

ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის დირექტორის ბრძანება ცენტრის თანამშრომლის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ. მოპასუხე სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა კომპენსაციის გადახდა 40 000 (ორმოცი ათასი) ლარის ხელზე ასაღები ოდენობით, ხოლო იძულებით განაცდურის გადახდის და თანამდებობაზე აღდგენის ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო

2013 წლიდან დღემდე სააგენტოს ჰქონდა **1 შრომითი დავა**, რომელიც დაიწყო 2013 წელს და დასრულდა 2014 წელს მორიგებით. მხარეთა მორიგების საფუძველზე სააგენტოს დაევალა მოსარჩელის აღდგენა იმავე ან ტოლფას თანამდებობაზე, ხოლო მოსარჩელემ უარი განაცხადა განაცდურის ანაზღაურების მოთხოვნაზე.

სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო-იხილეთ დანართი 1

მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტო

სსიპ-მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნულმა სააგენტოს ფუნქციონირების დაწყებიდან (2020 წლის პირველი იანვრიდან) დღემდე არ დაფიქსირებულა არც ერთი ფაქტი სამსახურიდან განთავისუფლებული თანამშრომლის მიერ სააგენტოს წინააღმდეგ სასამართლო დავის წარმოების თაობაზე.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია

სსიპ „სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიას“ ჰქონდა **ერთი სასმართლო** დავა თანამშრომლის სამსახურიდან გათავისუფლების გამო. აღნიშნული დავა დაიწყო 2014 წელს და დასრულდა 2016 წლის ივლისში. გადაწყვეტილების თანახმად, სასამართლომ მოსარჩელის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა.

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო

სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოს, სამსახურიდან გათავისუფლებულ თანამშრომელთა სარჩელის საფუძველზე ჰქონდა შემდეგი დავები:

2019 წელი - სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოს კომპენსაციის სახით დაეკისრა 17 000 ლარის გადახდა;
2019 წელი - სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოს კომპენსაციის სახით დაეკისრა 3 000 ლარის გადახდა;
2019 წელი - სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოს კომპენსაციის სახით დაეკისრა 15 000 ლარის გადახდა;
2019 წელი - სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოს კომპენსაციის სახით დაეკისრა 14 400 ლარის გადახდა;
2019 წელი - სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოს კომპენსაციის სახით დაეკისრა 92 400 ლარის გადახდა.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს წინააღმდეგ იყო მხოლოდ **ერთი დავა,** რომელიც მხარეთა მორიგებით დასრულდა. მოსარჩელეს აუნაზღაურდა სამი თვის ხელფასის ოდენობა-2100 (ორიათასასი) ლარი.

შპს „საქართველოს მელიორაცია“

2017 წელი-თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, შპს „საქართველოს მელიორაციას“ დაეკისრა იძულებითი განაცდურის ანაზღაურება ყოველთვიური ხელფასის 1400 (დარიცხული) ლარის ოდენობით 2015 წლის 24 მარტიდან 2016 წლის 17 თებერვლის ჩათვლით პერიოდზე;

2017 წელი-შპს „საქართველოს მელიორაციას“ დაეკისრა იძულებითი განაცდურის ანაზღაურება ყოველთვიური ხელფასის 400 ლარის ოდენობით 2017 წლის 03 იანვრიდან სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებამდე;

2018 წელი-მოსარჩელე მხარის სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა;

2018 წელი-შპს „საქართველოს მელიორაციას“ დაეკისრა იძულებითი განაცდურის ანაზღაურება 2017 წლის 12 აპრილიდან სამსახურში აღდგენამდე ყოველთვიურად ამ თანამდებობისთვის გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს ოდენობით;

2020 წელი-შპს „საქართველოს მელიორაციას“ მოსარჩელეების სასარგებლოდ თითოეულისათვის დაეკისრა კომპენსაციის სახით 22 500 ლარის გადახდა;

2021 წელი- შპს „საქართველოს მელიორაციას“ დაეკისრა კომპენსაციის სახით 71 300 ლარის გადახდა;

2022 წელი-შპს „საქართველოს მელიორაციას“ დაეკისრა იძულებითი განაცდურის ანაზღაურება გათავისუფლებიდან სამუშაოზე აღდგენამდე დროის მონაკვეთში, გარდა 2017 წლის ნოემბრიდან 2021 წლის 16 ივნისამდე პერიოდისა, ხელფასის 1250 (დარიცხული ოდენობა) გათვალისწინებით, მიღებული 2 თვის კომპენსაციისა და 500 ლარის გამოკლებით;

2023 წელი-თბილისის საქალაქო სასამართლოში ამჟამად მიმდინარეა ერთი დავა.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი (შეიქმნა 2013 წელს)

2013 წლიდან 2023 წლის მაისამდე დეპარტამენტმა ჯამში წარმართა **12 შრომითი დავა:**

აქედან 6 დავაზე სამსახურიდან გათავისუფლებულთა სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რომელთა შორისაც 1 დავა დაიწყო 2016 წელს და დასრულდა 2017 წელს;

4 დავა დაიწყო 2017 წელს და დასრულდა იმავე წელს, ხოლო 1 დავა დაიწყო 2018 წელს და დასრულდა 2023 წელს.

5 საქმეზე სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება არ არის ცნობილი (გასაჩივრებულია ზემდგომ ინსტანციებში), რომელთა შორისაც 1 დავა დაიწყო 2016 წელს, 3 დავა დაიწყო 2017 წელს და 1 დავა დაიწყო 2019 წელს.

1 საქმეზე (დავა დაიწყო 2014 წელს და დასრულდა 2017 წელს) სასამართლოს საბოლოო კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, დეპარტამენტს, მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა განაცდური ხელფასის ანაზღაურების ვალდებულება 28,114.01 (ოცდარვა ათას ას თოთხმეტი ლარი და ერთი თეთრი) ლარის ოდენობით.

სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო

სამსახურიდან განთავისუფლებული თანამშრომლების მიერ სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიმართ სასამართლოში აღძრული იქნა 7 სარჩელი, აქედან:

2017 წელს-2 საქმე;
2018 წელს-1 საქმე;
2019 წელს-3 საქმე;
2020 წელს-1 საქმე;

2018 წელს აღძრული ორი საქმიდან ერთი საქმე დღემდე განხილვაშია, ხოლო მეორე საქმე იმავე წელს დასრულდა მორიგებით. მოპასუხემ სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს დაეკისრა მოსარჩელისათვის თანამდებობრივი სარგოს 870 ლარის (საშემოსავლო გადასახადის დაქვითვით) გადახდა 2018 წლის 01 იანვრიდან მორიგების აქტის დამტკიცების თაობაზე სასამართლო განჩინების აღსრულებამდე.

2019 წელს აღძრული სარჩელი არ იქნა დაკმაყოფილებული სასამართლოს გადაწყვეტილებით 2020 წელს.

2020 წელს აღძრული სამი საქმიდან ორ საქმეზე დღემდე მიმდინარეობს წარმოება, ხოლო მესამე საქმეზე სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და მოპასუხე სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს დაეკისრა კომპენსაციის გადახდა 18816 ლარის ოდენობით.

2021 წელს აღძრულ სარჩელზე წარმოება დღემდე მიმდინარეობს.

დანართი 1 ექსელის ფაილი.

პატივისემით,

ნანა ჩინჩილაკაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტი